პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 აპრილი პარასკევი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 93 (15610)

ხვალ — ყველანი შაბათობაზე!

ეიდება სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს, რომლებიც გვიჩვენებენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშებს!

საკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

თბილისის მშრომელები შაბათობაზე

კომუნისტური შაბათობისათვის დედაქალაქის სამრეწველო საწარმოები, საამქროები, ორგანიზაციები, დაწესებულებები გულდასმით მოემზადნენ. რაიონულ შტაბებში შაბათობის წინადღეს ერთხელ კიდევ შემოწმდა კოლექტივების მზადყოფნა ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

გამორკვეული და დაზუსტებულია, რომ კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 430 ათასი თბილისელი, აქედან ფაბრიკებსა და ქარხნებში, მშენებლობებზე იმუშავებს 130 ათასი კაცი. გამოშვებული იქნება ოთხ მილიონ მანეთისაზე მეტი სამრეწველო პროდუქცია, გამოშუშავებული ხელფასი 400 ათასი მანეთი გადარიცხული იქნება ხუთწლედის ფონდში.

აღსანიშნავია, რომ 60 სამრეწველო საწარმო იმუშავებს დაზოგილი მასალითა და ნედლეულით. მაგალითად, კიროვის სახელობის ჩარსამშენებლო ქარხანა ამ დღეს დაზოგილი მასალებით 8 სახარატო ჩარხს გამოუშვებს, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“ — 22 ათას წყვილ ფეხსაცმელს, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება — 22 ათას მეტრ აბრეშუმის ქსოვილს.

მეთოთხმეტე სამშენებლო ტრესტი გადაუწყვეტია ადრე 21 აპრილს გლდანის დასახლებაში საექსპლოატაციოდ გადასცემს 9-სართულიან სახლს, რომლის საცხოვრებელი ფართობი 2061 კვადრატულ მეტრს უდრის. მე-15 ტრესტი თემქის დასახლებაში საცხოვრებლად გადასცემს 2394 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს. სულ მთავარ თბილმშენის სამშენებლო ორგანიზაციები ვალაზე ადრე თბილისელ მშრომელებს შაბათობის დღეს საექსპლოატაციოდ გადასცემენ 7.655 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს.

დიდი სამუშაოები შესრულდება ქალაქში და მის შემოგარენის გამწვანებისათვის. ამ დღეს დაირგვება 25 ათასი ძირი ხე და ბუჩქი. მეგობრობის პროსპექტზე შაბათობის დღეს დამთავრდება ახალი სკვერის მოწყობა.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს დედაქალაქის რაიონებმა. ეს ვალდებულებები ადასტურებენ, რომ შაბათობა ნამდვილად მასობრივი იქნება.

ვ. ი. ლენინი. სრულიად რუსეთის შაბათობაზე კრემლში. 1920 წელი.
ვ. ვასილევის ნახატი.

ბეჭდვითი სიტყვის ძალა

ბატონ ზეიმის მორიგი ნომერი გამოვიდა. ბეჭდვითი სიტყვის ბიოგრაფია ამით არ მთავრდება, არსებითად მხოლოდ იწყება. რა კვალს დატოვებს იგი? იდეურ-პოლიტიკური დონე, რეალური ზემოქმედება გონებასა და გულზე, იმ პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტაზე, რომლებსაც ცხოვრება აყენებს, საბოლოო ანგარიშით კიდევაც განსაზღვრავენ ყოველი გაზეთის მებრძოლურობას, კომუნისტურ მშენებლობაში მისი მონაწილეობის დონეს.

პრესა მასებზე, ჩვენი საქმეების მიმდინარეობაზე პარტიის იდეური და ორგანიზაციული გავლენის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი არაღია. საკკპ XXIV ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ეურნალ-გაზეთების მუშაობა, გაძლიერდეს მათი გამოსვლების ოპერატიულობა და ქმედითობა. განსაკუთრებული ძალით გაისმის ეს მოთხოვნა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს, რომელიც ყოველ უბანზე დამკვრელური შრომის წელი უნდა იყოს.

პრესის მუშაობის პრინციპული მიმართულებანი დღეს, მისი გამოსვლების ქმედითობის გაძლიერების გზები ღრმად ახასა საკკპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ მიღებულ დადგენილებაში „ლენინის სს რესპუბლიკის პრესაში სოციალისტური შეჯიბრების საკითხების გაშუქების შესახებ“. ეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია. იქ მოცემული შეფასებანი და დასკვნები შორს ცალდება ლენინის პარტიული ორგანიზაციის ფარგლებს, ისინი საჭირო ორიენტაციით აიარაღებენ კომუნისტებს, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ყველა ოლქის პრესის მუშაკებს.

პრესას განეკუთვნება დიდმნიშვნელოვანი როლი შრომელთა დარაზმვაში საგეგმო დავალებათა, სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მახსობრივი შეჯიბრების განვითარებაში. სწორედ პრესის მეშვეობით პარტიულ კომიტეტებს შეუძლიათ და კიდევაც უნდა შეიტანონ შეჯიბრებაში მეტი ხალისობა, შესადარობა, მეტოქეობა, ერთმანეთისადმი პატივისცემა.

როგორც აღნიშნულია დადგენილებაში, პრესამ მთავარი ყურადღება უნდა დაუთმოს ხაზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, შეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებს, მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის განვითარების ძირეულ პრობლემებს. ახლა, როცა პარტია ახორციელებს გადამწყვეტ ზემოქმედებას მთელი ჩვენი ეკონომიკის ინტენსიფიკაციისკენ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლას ახლის, მოწინავის აქტიური დანერგვისათვის, ჩამორჩენილობისა და უყურადობის, ბიუროკრატიზმისა და უსასუნისმგებლობის გამოვლინებათა წინააღმდეგ. განსაკუთრებით თანმიმდევრული და უკომპრომისო უნდა იყოს კონტროლი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, საკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებების განხორციელებისადმი.

პრესის ქმედითობას ავტომატურად ვერ მივაღწევთ. ეს დამოკიდებულია თვით გაზეთის სიმტკიცესა და პრინციპულობაზე, დღევანდელობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, ხაჭიბოროტო ამოცანების გაშუქების უნარზე. ყოველი რედაქციის კოლექტივი მოვალეა ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი, რისთვის იღვწის გაზეთი თუ ეურნალი, ვის ებრძვის — „ქარის წისქვილებს“ თუ ამას, რაც ნამდვილად აფერხებს წინსვლას. ბეჭდვითი სიტყვის შედეგების მიხედვით შეუძლებელია ვიმსჯელოთ იმაზეც, თუ რამდენად ეურადღებით ეკიდება პარტიული კომიტეტი თავის გამოცემას, როგორ უწყობს ხელს მას.

როცა პროპაგანდას ვუწევთ დადებითს გამოცდილებას, ამავე დროს გაბედულად უნდა ვაკვლევდეთ ცალკეული კოლექტივების ჩამორჩენის მიზეზებს, ვალდებულებათა შეუსრულებლობის ფაქტებს, ვაკრიტიკებდეთ უყაირათობის კონკრეტულ დამნაშავეებს. ეურნალ-გაზეთების რედაქციები მოწოდებული არიან მწვავედ, პარტიული პოზიციებიდან გამოდიოდნენ შეჯიბრების ორგანიზაციაში ბიუროკრატიულ დამახინჯებათა წინააღმდეგ, იღვწოდნენ, რომ კრიტიკული მასალები გამოირჩეოდნენ აქტუალობით, გერგილიანობით, პრინციპული დასკვნებით. საჭიროა დროზე აუწყებდნენ საზოგადოებრივობას პრესის გამოსვლების გამო მიღებულ ღონისძიებებს.

ამავე დროს ზოგიერთი გაზეთი, თუმცა ხალისით უჭერს მხარს სხვადასხვა ინიციატივასა და წამოწყებას, მაგრამ თავს არ იწუხებს იმის ანალიზით, თუ ეკონომიურად რამდენად მიზანშეწონილი, ცხოვრებისეულია ისინი, შესაძლებელია თუ არა თანსნობის გამეორება სხვა პირობებში. ეს ხომ არ არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ზოგიერთი წამოწყება საფუძველშივე ჩაკვდება ხოლმე? ვ. ი. ლენინი ურჩევდა პრესის მუშაკებს მოწინავე გამოცდილებას, შრომის ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიის განხილვისას ყოველ ჯერზე საკუთარი თავის წინაშე დაესვათ კითხვები: „სახელდობრ რისგორია ეს წარმატებანი? დადასტურებულია თუ არა ისინი? ხომ არ არის აქ ჩმახვა, ტრაბახი, ინტელიგენტური დაპირება...? რით არის წარმატებანი მოწეული? როგორ გავხადოთ ისინი უფრო ფართო?“ თუ წარმატება დადასტურებულია, თუ გამოცდილება მხარდაჭერის ღირსია, პრესის ვალია ძალღონის დაუზოგავად იღვწოდეს, რომ იგი გახდეს თვითეული საწარმოო კოლექტივის კუთვნილება.

პრესის ძალა და ავტორიტეტი პარტიულ ხელმძღვანელობაშია. საკკპ XXIV ყრილობის შემდეგ პარტიული კომიტეტები უფრო ღრმად სწვდებიან მის მუშაობას, უკეთ უჭერენ მხარს ეურნალისტურ ინიციატივას. თუ წინათ ბევრ შემთხვევაში რედაქტორის ანგარიშისათვის საბაბი, ვთქვათ, უფრო ხშირად შეცდომა ან რაიმე მარცხი იყო ხოლმე, ახლა პარტიული კომიტეტებთ განსახილველად გამოაქვთ პრესის საქმიანობის საკვანძო საკითხები: მისი აქტიურობა პარტიის ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, კრიტიკის დონე და ქმედითობა, პოლიტიკური ინფორმაციის დაყენება გაზეთებში და სხვ.

კარგი გამოხმაურებანი მოდის, მაგალითად, ისეთ გაზეთებზე, როგორიც არიან რესპუბლიკური „პრავდა ვოსტოკა“ და „სოვეტსკაია ბელორუსია“, საქალაქო „კუზნეცკი რაბოჩი“, საოლქო „ინდუსტრიალნაია კარაგანდა“ და ვორონეჟის „კომუნა“. გაზეთებს შორის, რომლებიც ბოლო ხანს უფრო მწვავე და მიზანმიმართული გახდნენ შინაარსობრივად, რომელთა გამოსვლები ზმარად იწვევენ ფართო საზოგადოებრივ რეზონანსს, შეგვიძლია დავასახელოთ „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“ (საქართველო), „ვეშა“ (აზერბაიჯანი) და ზოგიერთი სხვა გაზეთი.

საკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხერხიოზული შეინიშნებია გამოთქმული იმ პარტიული კომიტეტების მიმართ, რომლებიც წინანდებურად პრესისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის ნაცვლად სჯერდებიან ზოგად მითითებებს ან შენიშვნებს ცალკეული სიბაბის გამო. ნვრილმან მეურვეობას უწევენ რედაქციებს. პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან ენერგიულად უჭერდნენ მხარს რედაქციებს, მთ გადაჭრით უნდა აღკვეთონ ისეთი ფაქტები, როცა საწარმოთა, სამინისტროთა და უწყებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი ცდილობს კრიტიკას გამოეხმაუროს არა საქმით, არამედ ფორმალური პასუხით.

პარტიის ყოველდღიური ზრუნვა საბჭოთა პრესის გაძლიერების ქმედითობის გაძლიერებისათვის იმის აუცილებელი პირობაა, რომ უფრო აქტიური, მიზანმიმართული გავხადოთ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა, უფრო წარმატებით გადავწყვიტოთ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

PRAVDA

19 აპრილის მოწინავე.

მწერალთა II სრულიად საკავშირო თათბირს მესაზღვრეთა შესახებ მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ მხატვრული სიტყვის ცნობილ ოსტატებს, საბჭოთა მეომრების ჭეშმარიტ მეგობრებს, მესაზღვრეთა შესახებ მხატვრული ლიტერატურის საკითხებისადმი მიძღვნილი მწერალთა მეორე სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებს.

მეორე სრულიად საკავშირო თათბირი მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხის მთელი ძალები მიმართულია მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ამოცანათა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

დიადი და სახელოვანია გზა, რომელიც საბჭოთა მწერლებმა განვლეს. ისინი მუდამ ახალი ცხოვრების შექმნისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ. თქვენ ყველას, მწერლებს, რომლებმაც თქვენი ბულის კეთილშობილური მგზნებარება მესაზღვრეთა ცხოვრების აღწერას მიუძღვენით, გაერთიანებთ ერთი საბოლოო მიზანი — ჩვენი სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობა. ეს თანამოსაგრეებად გხდით შრომასა და ბრძოლაში, იმის გამო იკრიბებით, რომ ერთად გაინიხილოთ სამწერლო შრომის პრობლემები.

ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ მკითხველთა ფართო აღიარება დაიმსახურეს მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებმა მესაზღვრეებისა და სასაზღვრო რაიონების შრომელების შესახებ. ეს წარმატება განპირობებულია იმით, რომ სახელოვანი საბჭოთა მეომრები თავდადებით ემსახურებიან მიღიონობით ადამიანის შემოქმედებითი შრომის დაცვის ინტერესებს.

მწერლებს, რომლებიც ჩვენი მესაზღვრეების მოუღალავ ალსავსე მნედრული შრომის ღღეებს აღწერენ, ყარგად ესმით თავიანთი დიდი პასუხისმგებლობა საბჭოთა ხალხის წინაშე, საკუთარი შემოქმედების წინაშე და ცდილობენ ღრმად და მართლად, ძალაღმატვრულ ლინეზე, გადმოსცენ საბჭოთა ადამიანის რთული და მრავალფეროვანი სულიერი სიმდიდრე, საბჭოთა მესაზღვრე მეომრების ხასიათის კეთილშობილება, მათი დიდი პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, სსრ კავშირის ხალხთა ურყევი მეგობრობა, რომლებიც მსოფლიოს წარუდგენენ როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი.

ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური შეკავშირება, საბჭოთა ლიტერატურის მოღვაწეთა ერთიანი, ფეიერ-მხატვრული მიზანსწრაფვა, რომელიც ბისახა სოციალისტური რეალიზმის ზოგადმხატვრულ ფეთოდში, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის მწერალთა დიდ შემოქმედებით შესაძლებლობათა გამოვლინებას, საბჭოთა ლიტერატურის გამდიდრებას ახალი მხატვრული წარმატებებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი წარმატებითს, ნაყოფიერ მუშაობას უსურვებს მწერალთა მეორე სრულიად საკავშირო თათბირს მესაზღვრეთა შესახებ მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს მწერლები კვლავაც მთელ თავიანთ ნიჭს, მთელ თავიანთ მგზნებარებას მოახმარენ საბჭოთა ხალხის სამსახურის ინტერესებს, მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნას ჩვენს სახელოვან მესაზღვრეებზე, მათს მებრძოლ თანამშეწეებზე — ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ასეთია მათი გადაწყვეტილება

ჟეთასენი. (ხაკ. კორ.). № 4 სამშენებლო ტრესტში შეიქმნა ლენინური შაბათობის ჩამტარებელი ოპერატიული შტაბი, შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 1.500 მშენებელი, რომლებიც ამ დღეს შესრულებენ 15 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, რკინაბეტონის ქარხანა ბეგების გადამეტებით გამოუშვებს 60 კუბურ მეტრ ბეტონს და 45 კუბურ მეტრ რკინაბეტონის კონსტრუქციებს. მშენებლები ხუთწლედის ფონდში 2.700 მანეთს ჩარიცხავენ, წესრიგში მოიყვანენ საწარმოთა ტერიტორიებს, მუშაო დასახლების ადგილებს, დაირგვება 500 ძირი ხე და ბუჩქი.

შაბათობისათვის კარგად ემზადება სამკერვალო საწარმოო გაერთიანების კოლექტივი. მკერავები შაბათობის დღეს გამოუშვებენ 100 ათასი მანეთის პროდუქციას, ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 7 ათას მანეთს.

აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოში შედგენილია შაბათობის ჩატარების კონკრეტული გეგმა. სარეი, სართავი და ძაფსღები წარმოებების კოლექტივები შაბათობის დღეს გამოუშვებენ 9.060 მანეთის პროდუქციას, ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 1.700 მანეთს. საქსოვი წარმოების მშრომელები შეავროვებენ ლითონის ჯართს, დაასუფთავებენ ტერიტორიას.

ენთუზიაზმით

ზუგდიდი. (ხაკ. კორ.). ენგურქალაქლაკომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა კომუნისტური შაბათობის დღეს გამოუშვას 13,8 ათასი მანეთის ფართო მოხმარების საგნები, 19,2 ათასი მანეთის გოფრირებული ყუთები, სულ 33 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია და ხუთწლედის ფონდში ჩარიცხოს 2.120 მანეთი.

შაბათობის მონაწილეთა ერთი ჯგუფი იმუშავებს კომბინატის ტერიტორიის გაწმენდა-მოწესრიგებისა და გამწვანების სამუშაოებზე.

ღირსეული წვლილი შევიტანოთ ხუთწლედის ფონდში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა

განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი, დავაჩქაროთ ბრძოლის ტემპი

საქართველოს სახალხო მეურნეობამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის პირველი კვარტალი. წლის დამლევამდე უნდა მივაღწიოთ ახალ, კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვან მიზნებს

მრეწველობა

დამკვრელური უბანია

რესპუბლიკის მრეწველობამ მთლიანი პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა 104 პროცენტით, რეალიზაციის მოცულობის გეგმა კი 103,9 პროცენტით. გეგმის გადამეტებით წარმოებულია 42,3 მილიონი მანეთის და რეალიზებულია 40,9 მილიონი მანეთის პროდუქცია. ამასთან სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა შეადგინა 107,6 პროცენტი წლიური დავალების გათვალისწინებული 104,4 პროცენტის ნაცვლად. პროდუქციის სამუალო სადღეღამისო გამოშვება გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით 9,1 პროცენტით გაიზარდა.

შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკის ინდუსტრიაში შესამჩნევად — 7,5 პროცენტით გაზრდილა. ამასთან მისმა ზრდამ საკავშირო დონეზედმდებარების მრეწველობაში შეადგინა 13,1 პროცენტი, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მრეწველობაში — 4,8 პროცენტი. განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მთლიანი პროდუქციის მატება საერთოდ რესპუბლიკაში, ადგილობრივ კვების მრეწველობის, დამზადებისა და მშენებლობის სამინისტროთა საწარმოებში მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. მაღალია ეს მაჩვენებელი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში, საშენ მასალათა მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა სისტემებში.

სხდომაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ საწარმოთა კოლექტივების ვალდებულებანი მიმდინარე წელს პროდუქციის ზეგეგმიო გამოშვებისათვის მთლიანად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება. ამ საქმეში ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ხე-ტყის და ხისდამშენაველელი, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებმა.

პირველ კვარტალში წარმატებით შესრულდა წლიური ვალდებულებანი მთელი რიგი ნაკეთობების დამატებითი გამოშვებისათვის. მაგალითად, კვარტალში გეგმის გადამეტებით წარმოებული იყო 14 ათასი ტონა მანგანუმის მადანი, მაშინ როცა ერთი წლის ვალდებულებით გათვალისწინებულია 20 ათასი ტონა, შესაბამისად თუჯი — 1600 ვალდებულებით გათვალისწინებული 1000 ტონის ნაცვლად, მზა ნაგლინი — 2.694 ტ.200 ტონის ნაცვლად, ფოლადის მილები — 988 1.000 ტონის ნაცვლად, მინერალური სასუქები — 4.332 4.000 ტონის ნაცვლად, ცემენტი — 9 2,5 ათასი ტონის ნაცვლად.

ეს მონაცემები მოწმობენ, რომ მრეწველობის, ისევე როგორც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მშრომელებმა, პირველ კვარტალში კარგად იმუშავეს. სხდომაზე აღინიშნა, რომ ეს არის ფართო მასების, ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოს დიდი შუმაობის, კარგი განწყობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარების, სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე საქართველოს კომპარტიის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების სწორი ორგანიზაციის შედეგი.

ამასთანავე ხაზგასმით აღინიშნა, რომ წარმატებანი არცთუ ისე დიდია, და დამშვიდების საფუძველი არა გვაქვს, განსაკუთრებით თუ ღრმად, სეიროზულად გავერკვევით ციფრებში, შეფასებებში, შევადარებთ პირველი კვარტალის მაჩვენებლებს შესაბამის პერსპექტიულ დავალებებს.

რასაკვირველია მიღწევად უნდა მივიჩნიოთ წარმოების ტემპი, რომელმაც გეგმით გათვალისწინებულს გადააჭარბა. მაგრამ მიღწეული ბევრად არ აღემატება ხუთწლედისათვის გათვალისწინებულ მაჩვენებელს. ამასთანავე მუდამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ წარსულის ჩამორჩენა.

ახლანდელი მიღწევები მხოლოდ გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით, რომლის მაჩვენებლები უკიდურესად დაბალი იყო, საკმაოდ დიდია.

ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, იმიტომ რომ წლის დარჩენილი სამი კვარტალის განძილზე უნდა გადავწყვიტოთ მნიშვნელოვნად გაზრდილი ამოცანები.

პირველი კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების მაჩვენებლები ბევრად უკეთესი იქნებოდა, ყველას რომ ჯეროვანი დაძაბულობით ემუშავა, უფრო ორგანიზებულად განეხორციელებინა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თითოეულ საწარმოში, მეურნეობის თვითეულ დარგში არსებული რეზერვების უფრო სრულ და ეფექტიან გამოყენებას.

ამ ხნის მანძილზე მიღწეული მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თვეების მიხედვით არათანაბარზომიერად განაწილდა: იანვარში მან შეადგინა 18,9, თებერვალში — 3,5, მარტში კი 1,4 პროცენტი.

(მაგრძელება მე-2 გვერდზე).

რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ხალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოთა მშრომელებს კარგად ესმით მიმდინარე წლის მნიშვნელობა მთლიანად ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმმა, რესპუბლიკის პარტიული ორგანოებისა და მთავრობის მომდევნო გადაწყვეტილებებმა განსაზღვრეს ჩვენი წინსვლის მკაფიო პროგრამა. და აი დადგა პირველი შედეგების შეჯამების დრო. სწორედ ამ შედეგებზე გამართა სხვა-დასახი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, რომელზეც მიიწვიეს ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები.

მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1973 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ სხდომაზე გააკეთა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. მ. ჯაფარიძემ.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. დ. კიკნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბაძაშვი, რესპუბლიკის მეელოვანეობისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი ბ. ხ. ჟოგპენია, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ლ. მ. უკლება, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ხ. ბანბა, საქართველოს სსრ მთავარმომარაგების უფროსი მ. ბ. კოდუა, რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი შ. დ. დუმბაძე, რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი ბ. ა. დუჩიძე, რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ა. ა. ანანიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ბ. ბიბიბერია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ა. ნ. ჩურკინი.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. დ. ჯაფარიძე.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

PRAVDA

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა

განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი, დავაჩქაროთ ბრძოლა ეფექტიანობისთვის

(გაგრძელება)

მთელი რიგი საკავშირო სამინისტროების — ქიმიური, ელექტროტექნიკური, ჩარხმშენებლობისა და ინსტრუმენტული მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროებისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს აქვთ პროდუქციის გამოშვების ხვედრითი წონის დაბალი მაჩვენებელი სამუშაო დღეებთან შედარებით. ფაქტიურად გამოშვებული პროდუქციის მოცულობა რომ შეესაბამებოდეს პირველი კვარტალის სამუშაო დღეების ხვედრით წონას, შეიძლებოდა დამატებით გვეწარმოებინა 10 მილიონ მანეთისაზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

მთელმა რიგმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა რამდენადმე შეამცირეს წარმოების მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ეს არის „საქმთაავარმონტაჟსპეცმშენის“, საბჭოთა მეურნეობებისა და საავტომობილო გზების სამინისტროები, გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო, თბილისის გაზაპარატურის ქარხანა, გეერთიანება „ელექტროაპარატი“, რუსთავის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანა, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანა, თბილისის ცხიმკომბინატი და სხვ.

მნიშვნელოვნად შემცირდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც ვერ შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. მაგრამ 71 საწარმომ, ანუ საერთო რიცხვის 6,6 პროცენტმა, კვარტალურ გეგმას ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიხედვით თავი ვერ გაართვა. მათ ვერ გაასაღეს 8 მილიონი მანეთის პროდუქცია. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრი ჩამორჩენილი საწარმო მოდის საშენ მასალათა მრეწველობის, ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის და მშენებლობის სამინისტროებზე.

მთლიანი პროდუქციის გამოშვებაში ჩამორჩა 76 საწარმო, რომლებმაც სახელმწიფოს დააკლეს 8,1 მილიონი მანეთის პროდუქცია. ამ პირველ რიგში მოხსენიებული იყვნენ ივგენი რუსთაველის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანა, თბილისის საიუველირო ნაწარმის ქარხანა, 26 კომისრის სახელობის ქარხანა, ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხანა, ბათუმისა და სამტრედიის ხისდამუშავებელი კომბინატები, თბილისის № 2 ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ორჯონიკიძის სახელობისა და 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკები, ლაგოდეხისა და ვანის საკონსერვო ქარხნები და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

ცალკეული სამინისტროების, საწარმოებისა და გაერთიანებების ზოგიერთი კოლექტივის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი შემცირდა, რადგან არ გაუთვალისწინებიათ რეალური შესაძლებლობანი. ამასთან ზოგიერთმა საწარმომ დამატებითი პროდუქციის წარმოების ვალდებულება იკისრა, პირველ კვარტალში კი გეგმაც ვერ შეასრულა. მაგალითად, წლიური ვალდებულება ითვალისწინებს ორი ათასი ტონა ფოლადის ზეგეგმით გამოშვებას, ფაქტიურად პირველ კვარტალში გეგმას დააკლდა 3,1 ათასი ტონა. ანალოგიური მდგომარეობაა ყველა სახეობის ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმლისა და სხვათა გამოშვების ხაზით.

სხდომაზე დეტალურად იყო გაანალიზებული ცალკეული დარგებისა და უწყებების საქმიანობის შედეგები, აი რა თქვა ზოგიერთ მათგანზე.

საქენერგომ გადაჭარბებით შეასრულა მთლიანი პროდუქციისა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობის კვარტალური გეგმები. გამოშვებულია 2.640 მილიონ კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაც შეადგენს წლიური გეგმის 26,5 პროცენტს. მაგრამ ამ დროის განმავლობაში იყო ენერგიის დანაკარგები ქსელში. ამ დანაკარგმა 350 მილიონ კილოვატსაათს გადააჭარბა, გეგმა კი დაახლოებით 303 მილიონს ითვალისწინებს. სხდომაზე თქვა, რომ ელექტროენერგიის დანაკარგების მაქსიმალური შემცირებისათვის საჭიროა თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური — ზესტაფონის ელექტროგადამცემი ხაზი გადავიყვანოთ 500 კილოვატზე.

ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მოძველებული ძირითადი მოწყობილობის გაცვეთის გამო იყო ქვაბების შუშაობის ავარიული შეწყვეტის შემთხვევები და შემცირდა ქვანახშირის მოხმარება. საქენერგოს ღონისძიებანი ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ნორმალურ შუშაობას მხოლოდ მეოთხე კვარტალში უზრუნველყოფენ.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა საერთოდ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა მთლიანი პროდუქციის წარმოების, ქვანახშირის რეალიზაციისა და მოპოვების გეგმები, მაგრამ კვარტალურ დავალებას თავი ვერ გაართვა ტყვარჩელის ლენინის სახელობის შახტმა, რომელმაც ქვანახშირის მოპოვების გეგმა 85,3 პროცენტით შეასრულა. ეს მოხდა იმის გამო, რომ არ იყო საშენენი სამუშაოთა ფრონტი, რაც საჭიროა მაღაროელთა ნორმალური საქმიანობისათვის.

გარდა ამისა, მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და ქვანახშირის მოპოვების დონე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ დროულად არ ამოქმედდა ტყიბულის აღმოსავლეთი — 2 შახტი.

„ავტომეტალურგიის“ საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს როგორც რეალიზაციის მოცულობის, ისე მთლიანი პროდუქციის გეგმები. გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით პროდუქციის მოცულობა შესამჩნევად გაიზარდა. გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია თუჯი, „ავი ლითონების ნაგლინი, ფოლადის მილები, მანგანუმის შენადნობები და სხვ. ამასთანავე რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ თებერვალსა და მარტში ვერ შეძლო იანვარში დაშვებული ჩამორჩენის დაძლევა ფოლადის გამოდნობაში.

საწარმოო დავალებანი კვარტალისათვის გადაჭარბებით შეასრულეს **ქიმიური მრეწველობის** საწარმოებმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ შესამჩნევად გაუუმჯობესა მუშაობა რუსთავის ქიმიურმა კომბინატმა, რომლის კოლექტივმა მიაღწია პროდუქციის საშუალო-საღღეღამისო გამომუშავების სტაბილიზაციას. კვარტალის განმავლობაში ამიაკის საშუალო-საღღეღამისო გამომუშავებას თითქმის არა ჰქონია გადახვევები. კომბინატმა გადაჭარბებით შეასრულა სარეალიზაციო და მთლიანი პროდუქციის კვარტალური გეგმები. გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის გამოშვების მოცულობა.

მაგრამ ამასთან, აღინიშნა სხდომაზე, კომბინატში არ არის საშუალო-საღღეღამისო გამომუშავების ზრდის ტენდენცია. წარმოების დონის ასეთმა სტაბილიზაციამ შემდგომში შეიძლება დაბრკოლებანი შეუქმნას საწარმოს წლიური გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით. თუ ზაფხლის პერიოდისათვის აზოტის წარმოების ექსპლოატაციის სირთულესაც გავითვალისწინებთ, მაშინ საჭიროა უახლოეს ხანში განვახორციელოთ მათი ყველა რეზერვი, უწინარეს ყოვლისა — ამიაკის წარმოების გამოშვების გადიდების ქვიდითი ღონისძიებანი. კომბინატში სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ამ წარმოების სქემა იმ აგრეგატების რაციონალური გამოყენების ბაზაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ წლიური გეგმის შესრულების სამძლავრეთა საქმირო დონეს.

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანამ რეალიზებული პროდუქციის კვარტალური გეგმა შეასრულა 102 პროცენტით, მთლიანი პროდუქციის გამოშვებაში კი ჩამორჩა, გამოუშვა დასახული პროდუქციის მხოლოდ 98 პროცენტი.

კიდევ უფრო საგრძნობი ჩამორჩენა **იყო აბრეშუმის ნაკადში**, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მთლიანად საწარმოს სამეურნეო საქმიანობაზე, რადგან ამ სახეობის პროდუქცია ღირებულებითი გამოხატულებით კვეთრ გავლენას ახდენს გეგმის საერთო შესრულებაზე. თუ მიღწეული დონის მიხედვით ვამსჯელებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბევრი სიძნელე შეხვდება ქარხანას წლიური გეგმის შესრულებაში. ქარხანამ არსებითი ღონისძიებანი უნდა განახორციელოს, რომ გაზრდოს თავისი საამქროების მუშაობის ეფექტიანობა, როგორც შრომის ნაყოფიერების გადიდების, ისე ისეთი ტექნოლოგიის დანერგვის გზით, რომელიც გაუუმჯობესებს აბრეშუმის პროდუქციის ხარისხს. ამ ამოცანების შესრულება შესაძლებელია იმიტომაც, რომ სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო დაგვპირდა, რომ რეალურ დახმარებას გაუწევს კომბინატს ახალი მოწყობილობის მიწოდებისა და მაღალხარისხოვანი ნედლეულის გამოყოფის საშუალებით.

პროდუქციის წარმოების გეგმა **საქართველოს** საყოფაცხოვრებო ქიმიის ფირმამ გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ ეს გეგმა კვლავ ვერ უკავშირდება გამომუშავებული ნაწარმის რეალიზაციას. კვარტალის დამლევისათვის საწყობში დაგროვდა 277 ათასი მანეთის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების გაუსაღებელი პროდუქცია.

მანქანათსაშენებელი ქარხნების ხაზით რეალიზებული პროდუქციის მოცულობის კვარტალური გეგმა შესრულდა 105 პროცენტით, მთლიანი პროდუქციისა — 108 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის ტემპმა შეადგინა შესაბამისად 106 და 113 პროცენტი. ტემპი უფრო დაიჩქარის ხელსაწყოთმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროების საწარმოებმა და სხვებმა.

რეალიზებული პროდუქციის გეგმა თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელ ქარხანაში არ შესრულებულა იმის გამო, რომ მომხმარებლებმა დროულად არ დაფარეს ანგარიშები გაგზავნილი მოწყობილობისათვის. 30 მარტის მდგომარეობით წარდგენილი და გადაუხდელი ანგარიშების თანხამ 300 ათასი მანეთი შეადგინა იმ დროს, როცა რეალიზაციის თვიური გეგმა 273 ათასი მანეთი იყო. ქარხანამ, რომელმაც 101 პროცენტით შეასრულა სასაქონლო პროდუქციის წარმოების ორი თვის გეგმა, ვერ შეასრულა მარტისა და მთლიანად პირველი კვარტალის გეგმა, რაც მის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შედეგია.

ჯერ კიდევ ჩამორჩენა რუსთავის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანა. თუმცა მან მარტში შეასრულა შესწორებული გეგმა, მაგრამ თავი ვერ გაართვა კვარტალურ დავალებას და რეალიზაციის გეგმის შესრულებას დააკლო 24, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გეგმასას — 15 პროცენტი. საწარმოში არის ორგანიზაციულ-ტექნიკური ხარვეზები, აკლია კადრები. ჩამოსხმის ნომენკლატურულ გეგმაში დაგეგმილია პიდროაპარატურის დეტალების დამზადება მთელი ობიექტის 50 პროცენტის ოდენობით. მაგრამ ქარხნის მუშაკებს ჯერჯერობით არ გამოუმუშავებიათ რთული სხვრეული წარმოების საჭირო ნიგეგები, არ დაუმუშავებიათ ტექნოლოგია, რის შედეგადაც არის დიდძალი წუნი, ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს კოლექტივის მუშაობის ეკონომიურ მაჩვენებლებზე.

თბილისის ელექტრომესადუღი მოწყობილობის ქარხანამ, თუმცა შეასრულა რეალიზებული პროდუქციის მოცულობის მარტისა და პირველი კვარტალის გეგმა, თავი ვერ გაართვა სასაქონლო პროდუქციის დავალებას. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ შეფერხებებით იღებს მასალებსა და მაკომპლექტებელ ნაწარმს.

როგორც მანქანათსაშენებელი საწარმოების პირველი კვარტალის მუშაობის შედეგები მოწმობენ, იქმნება ყველა წინაპირობა მიმდინარე წლის მეორე და შემდგომი კვარტალების გეგმების შესრულებისათვის. რამდენადმე გაუმჯობესდა საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხაზით სარეალიზაციო პროდუქციის გეგმა შესრულდა 103 პროცენტით, ხოლო მთლიანი პროდუქციისა — 104 პროცენტით. ზრდის ტემპმა შესაბამისად შეადგინა 112 და 108 პროცენტი. ამასთანავე, აღინიშნული სამინისტროს ზოგიერთი საწარმო ჩამორჩა მთლიანი პროდუქციის გამოშვების 1972 წლის პირველ კვარტალში ფაქტიურად მიღწეულ დონეს. მათ შორისაა ბაგრის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობა, სადგლის ხე-ტყის კომბინატი, სიჩხერის ხე-ტყის დამამზადებელი ბაზა, ბათუმის ხისდამუშავებული კომბინატი, თბილისის ავეჯის კომბინატი „განთიადი“.

სამინისტრო ახორციელებს ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს გამოშვებული პროდუქციის უფრო წარმატებული რეალიზაცია, ამაღლოს მისი ხარისხი საწარმოო პროცესების ტექნოლოგიის გაუჯობესებისა და ადგილზე სახელობათა სამუშაოების მექანიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და ათვისების გზით.

ხაშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა კვარტალური გეგმის შესრულებაში. მთლიანი პროდუქციის გამოშვების დავალება შესრულდა 106 პროცენტით, ხოლო ზრდის ტემპმა შეადგინა 118 პროცენტი. საანგარიშო კვარტალში მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის — ცემენტის, შიფერის, სადგლი მასალების, მოსაპირკეთებელი და მეტლახის ფილების, რბილი სახურავი მასალების, სახურავი მუყაოს, არამადნეული ხაშენ მასალების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმა.

სამინისტრომ სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობის გეგმის შესრულებას დააკლო 5,9 პროცენტი, ანუ 1,1 მილიონი მანეთი. პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს ლისპანა და რუსთავის ცემენტის ქარხნებმა, გარდანინ მუყაო-რუბეროიდის ქარხანამ, ცხკალის და ქიათურის საშენ მასალათა კომბინატებმა, გურჯაანის აგურის ქარხანამ, ტყვარჩელის საშენ მასალათა ქარხანამ იმის გამო, რომ მომხმარებლებმა არ გაუნაღდეს მიღებული პროდუქციის ანგარიში.

საქართველოს სსრ მხუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა სარეალიზაციო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 102 პროცენტით შეასრულეს.

წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის დონის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებამ უზრუნველყო წარმოების ზრდის ტემპის მუდმივი მატება. თუ იანვარში მთლიანი პროდუქციის საშუალო საღღეღამისო გამოშვება შეადგენდა 2.367 ათას მანეთს, თებერვალში იგი გაიზარდა 2.433 ათას მანეთამდე, ხოლო მარტში 2.727 ათას მანეთს მიაღწია. სამინისტროს, ხაზგასმით თქვა სხდომაზე, შემდგომშიც უნდა განახორციელოს პროდუქციის გამოშვების ტემპის გაძლიერების ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, ვინაიდან წლიური გეგმის შესასრულებლად დარჩენილ პერიოდში მთლიანი პროდუქციის საღღეღამისო გამოშვება 2.801 ათას მანეთამდე უნდა გაიზარდოს. საამისოდ სისტემის საწარმოებს საკმარისად მოეპოვებათ ტექნიკური შესაძლებლობანი და გამოუყენებელი რეზერვები.

თუმცა მთლიანად სამინისტროს ხაზით გეგმა შესრულდა, მაგრამ კვარტალური დავალებანი არ შეუსრულებია ექვს საწარმოს — თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკას, ფაბრიკა „ამირანს“, ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკას, თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკას, ბაზორის საფეიერო-საგალანტერიო ფაბრიკას, თელავის წინდის ფაბრიკას.

18 უმნიშვნელოვანესი სახეობის ნატურალური პროდუქციიდან პირველი კვარტალის გეგმა არ შესრულებულა ექვს სახეობაში, რის შედეგად გეგმას დააკლდა 80 ათასი კვადრატული მეტრი აბრეშუმის ქსოვილები, 375 ტონა ბამბის ნარნი, 90 ათასი კვადრატული მეტრი შალის ქსოვილი, 18 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 20 ტონა შალის ნარნი, 276 ათასი მანეთის შეკერილი ნაწარმი.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელად ასრულებენ მიწოდების პირობებს სამკერვალო და ფეხსაცმლის საწარმოები. ამ პერიოდში სამკერვალო მრეწველობამ მიწოდების გეგმის შესრულებას დააკლო 3,5 მილიონი მანეთი, აქედან თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ — 1,93 მილიონი მანეთის, ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანებამ — 0,76 მილიონი მანეთის, ხოლო თელავის სამკერვალო ფაბრიკამ, რომლის შეკერილი ნაწარმის მიწოდების გეგმა 747 ათას მანეთ. შეადგენდა, ფაქტიურად გაგზავნა 247 ათასი მანეთის პროდუქცია. სავაჭრო ორგანიზაციებს გეგმაზე ნაკლები მიიწოდეს ბრეზენტისა და ბამბის ქსოვილები, წინდები, საფეიერო-საგალანტერიო და ტყავ-საგალანტერიო ნაწარმი. ფეხსაცმლის მრეწველობამ მიწოდების გეგმის შესრულებას დააკლო მილიონ მანეთისაზე მეტი ტყავის ფეხსაცმელი.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ჯერ კიდევ უშვებენ არადამაკმაყოფილებელი ხარისხის ნაწარმს. პირველ კვარტალში 84,9 ათასი წყვილი ბამბეული ტყავის ფეხსაცმლიდან დაწუნებულია 12,72 ათასი წყვილი, ანუ 15 პროცენტი. დაწუნებული ფეხსაცმლის რაოდენობა ფაბრიკა „ოქტომბერ“ აღწევს 18 პროცენტს, ფაბრიკა „ნარიყალაში“ — 14 პროცენტს. თებერვალში სახელმწიფო ინსპექციამ დაიწუნა თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ მიერ გამოშვებული მამაკაცის კოსტიუმების 15 პროცენტი, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ქალის პალტოების 13 პროცენტი, თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის ნაწარმის 12 პროცენტი და სხვ.

საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ აგრეთვე ასორტიმენტის გეგმის შესრულებას. ორი თვის განმავლობაში ქუთაისის ბამბასაქსოვ საწარმოო გაერთიანებას შვიდი არტიკულის ქსოვილებიდან არ შეუსრულებია გეგმა ექვსი არტიკულის მიხედვით, თბილისის აბრეშუმის გაერთიანებას — 13-დან ექვსის, თბილისის „კამოდ-მაუდის კომბინატს — 10-დან 5-ის მიხედვით.

ასორტიმენტის გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ მიმწოდებელი საწარმოები ნაკლები ოდენობით აწვდიან საწარმოებს ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებს, აგრეთვე ჯერჯერობით ტექნოლოგიური მოწყობილობის გადაკეთება ახალი ასორტიმენტის ნაწარმის გამოსაშვებად.

კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით საერთოდ და მის დარგებში — ღვინის, პურისა და საკონდიტრო, თამბაქოს, საკონსერვო და სხვა დარგებში მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა მთლიანი პროდუქციის როგორც რეალიზაციის, ისე წარმოების კვარტალური დავალება. კვების მრეწველობის საწარმოებმა წარმატებით შეასრულეს ჩაის, ყურძნის ღვინის, შამპანური ღვინოების, კონიაკის, საკონდიტრო ნაწარმის, მცენარეული ზეთის, ხილ-ბოსტნეული კონსერვების, მინერალური წყლებისა და სხვა პროდუქციის წარმოების დავალებანი. გეგმა მხოლოდ ლაგოდეხისა და ვანის საკონსერვო ქარხნებს არ შეუსრულებიათ იმის გამო, რომ იქ არადამაკმაყოფილებელი იყო წარმოების ორგანიზაცია და აკლდათ ნედლეული რესურსები.

თუმცა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით მთლიანი პროდუქციის გამოშვების კვარტალური დავალება წარმატებით შესრულდა, მაგრამ სამრეწველო წარმოების მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2 პროცენტით შემცირდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ საგრძნობლად იკლო მოსახლეობისაგან პირუტყვისა და ფრინველის ფაქტიურმა შესყიდვამ გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით. შარშანდელთან შედარებით დაიკლო წარმოების დონემ ბათუმის, გორის, სოხუმის, წყალტუბოს, ცხინვალისა და თბილისის ხორცკომბინატებში.

ამ სისტემის საწარმოებმა გეგმის გადამეტებით აწარმოეს მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქცია ნატურალური გამოხატულებით, მაგრამ არ შეუსრულებიათ ძეხვეულის ასორტიმენტისა და ხორცის ნახევარფაბრიკატების, ჯატლეტის, ფარშის, დაფასოებული ხორცის გამოშვების გეგმა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა სამრეწველო საწარმოებმა პროდუქციის რეალიზაციის მარტის გეგმა შესასრულეს 109,9 პროცენტით, ხოლო კვარტალისა — 104,1 პროცენტით. კვარტალში რეალიზებულია 3.017 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. მთლიანი პროდუქციის მოცულობის მარტის გეგმის შესრულებამ შეადგინა 106,5 პროცენტი, ხოლო კვარტალისამ — 104,2 პროცენტი. ზრდის ტემპი შეადგენდა შესაბამისად 111,1 და 107,5 პროცენტს.

საგრძნობლად გაუუმჯობესეს მუშაობა **ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს** საწარმოებმა, რომლებსაც იანვარ-თებერვალში ჩამორჩენა ჰქონდათ გეგმის შესრულებაში, მარტში კი ალმოფხვრეს ეს ჩამორჩენა და უზრუნველყვეს კვარტალური გეგმის შესრულება შესაბამისად 103,3 და 100,1 პროცენტით. სისტემაში მნიშვნელოვნად შემცირდა იმ საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც საგეგმო დავალებებს ვერ ასრულებენ. თუ ორი თვის შედეგების მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის გეგმა არ შეუსრულებია 28 საწარმოს, მთლიანად კვარტალში მათმა რაოდენობამ 17-მდე დაიკლო. ჩამორჩენილ საწარმოთა მიერ გაუსაღებელი პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 1.062 ათასი მანეთი.

გეგმის შესრულებაში გარკვეული ძრაგის მიუხედავად ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების საქმე.

სისტემის საწარმოებმა თავი ვერ გაართვეს დახერხილი მასალების, საკიდლე მასალების, შალის, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილების, წინდის, ხელოვნური რბილი ტყავის, რეზინის და ტყავის ფეხსაცმლის, ხალიჩების და ხალიჩის ნაწარმის, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო მოხმარების საქონლის წარმოების.

რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა საწარმოები საკმაო მუშაობას არ ეწევიან ისეთ ახალ სახეობათა ნაწარმის ათვისებისათვის, რომელზეც მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნაა. ჯერ ისევ შეიმჩნევა შეფერხებები, როცა საწარმოები საეჭვო ქსელს აწვდიან დაბალი ხარისხის საქონელს.

სამრეწველო წარმოების და პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქში, რესპუბლიკის ქალაქებსა და ძირითადი რაიონების პირველ კვარტალში დამაკმაყოფილებლად სრულდებოდა. იგი მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა ყველა ქალაქმა და ძირითადმა რაიონმა, გარდა კასპის რაიონისა.

რეალიზაციისა და მრეწველობის მთლიანი პროდუქციის გეგმის შესრულების მაჩვენებლები საშუალო-რესპუბლიკურზე უკეთესი აქვთ საწარმოებს, რომლებიც განლაგებულია აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, ფთიანში, ჭიათურაში, ზუგდიდში, სამტრედიის, სიღნაღისსა და მახარაძის რაიონებში.

შრომის ნაყოფიერების პირველი კვარტალის გეგმა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა შეასრულეს 103,9 პროცენტით. ეს უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი წარმატებულთან შედარებით 7,5 პროცენტით გაიზარდა.

ამავე დროს სხდომაზე აღინიშნა, რომ თუმცა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საერთოდ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა ხაზით, 27 საწარმომ შეამცირა შრომის ნაყოფიერება. ეს არის საწარმოთა საერთო რიცხვის 18,9 პროცენტი. აქედან 15 საწარმომ შეაღწია მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი. საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ხაზით შრომის ნაყოფიერება შეამცირა 161 საწარმომ, ესე იგი 30,1 პროცენტმა, აქედან 124 საწარმომ შეიტანა მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი.

სოფელი ემზადებული შეხვდა გაზაფხულს

რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საგაზაფხულო კულტურების თესვას უფრო ადრე შეუდგნენ, ვიდრე შარშან. 1 აპრილისათვის მათ საგაზაფხულო კულტურები დათესეს 54,7 ათას ჰექტარზე, მაშინ როცა შარშან ამავე თარიღისათვის დათესილი იყო 41,3 ათასი ჰექტარი. ამ კულტურების თესვას, გარდა ზოგიერთი მთიანი რაიონისა, ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა შეუდგა. აღებული ტემპით თუ გვიმსჯელებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საგაზაფხულო თესვა დამთავრდება დადგენილ ვადებში.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შარშანდელზე უკეთ გამოიყენეს ორგანული სასუქები. მაგალითად, წლის მარტო პირველ ორ თვეში შეტანილია 234 ათასი ტონა სასუქი, მაშინ როცა შარშან ამავე პერიოდში შეტანილი იყო 152 ათასი ტონა.

მინერალური და ორგანული სასუქები საშემოდგომო კულტურების ნათესებში შეტანილია 90 ათას ჰექტარზე შარშანდელ 38 ათას ჰექტართან შედარებით.

მაგრამ სხდომაზე აღინიშნა, რომ მთელ რიგ რაიონებში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩამორჩებიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებში ორგანული სასუქების შეტანის საქმეში. ეს შეეხება ადიგენის, კასპის, გარდაბნის რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მეურნეობებს, სადაც მინდვრად ორგანული სასუქების ბაგანის შემდეგ დაგვიანდა მათი ნიადაგში შეტანა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ამ ღონისძიების ეფექტიანობას.

ახალი ხეხილის ბაღების, ვენახების, ჩაის პლანტაციებისა და სხვა მრავალწლოვანი ნარგავების გაშენება მიმდინარე სეზონში უფრო წარმატებით და დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე შარშან. 15 მარტისათვის ეს ნარგავები გაშენდა 429 ჰექტარზე 1972 წლის 119 ჰექტართან შედარებით.

ვანხორციელდა ღონისძიებანი გაზაფხულის მინდვრის სამუშაოებისათვის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ასტანდარტებულ მოსამზადებელად. 1 აპრილისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეაკეთეს 4474 ტრაქტორი, რითაც 34 პროცენტით გადაჭარბეს გეგმის, 192 მარცვლეულის კომბაინი (გეგმის 35 პროცენტი), 2651 სატვირთო ავტომობილი (124 პროცენტი). სამუშაოდ გამზადებულია ტრაქტორების 88 პროცენტი, გუთნების — 90 პროცენტი, სათესლეებისა და კულტივატორების — 86 პროცენტი, სათიბლების — 74 პროცენტი და ა. შ.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის, სამემოდგომო ნათესებისა და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მზადყოფნის დათვალიერებამ, რომელიც მარტში მოეწყო, ხელი შეუწყო სამუშაოთა ვალიერებას ამ მეურნეობების ბრიგადებსა და რგოლებში. მასობრივი დათვალიერების დროს ადგილებზე მიეცათ კონკრეტული მითითებანი და რჩევა, თუ როგორ მოაწყონ უკეთ შრომა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, როგორ დაამთავრონ მინდვრის სამუშაოები აგროტექნიკურ ვადებში და შექმნან ყველა კულტურის უხვი მოსავლის მოწვეის პირობები.

პირუტყვის გამოზამთრება პირველ კვარტალში ნორმალურად მიმდინარეობდა. ცალკეულმა რაიონებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

ერთ კვარტალში რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მეცხოველეობის ყველა სახეობის პროდუქცია აწარმოეს მეტი, ვიდრე შარშან იმავე პერიოდში. მაგალითად, 1 აპრილისათვის რეალიზებულია 14 ათასი ტონა ცოცხალი წონის საკლავი პირუტყვი და ფრინველი შარშანდელ 12,2 ათას ტონასთან შედარებით, რძე შესაბამისად 47 და 43 ათასი ტონა, კვერცხი — 61,2 და 38,2 მილიონი ცალი, ანუ 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

ერთი ძროხის საშუალო წველადობამ განვლილ სამ თვეში შეადგინა 281 კილოგრამი შარშანდელი 260 კილოგრამის ნაცვლად, ერთი მოქცეულის კვერცხმდებლობამ — 35 ცალი 29-სთან შედარებით.

ხბოებისა და ბატკნების ნამატმა შეადგინა 61,3 ათასი სული შარშანდელ 60,6 ათასთან შედარებით, გოჭებისამ — შესაბამისად 86,4 და 68,8 ათასი სული, ბატკნებისა და ციკნებისამ — 508,6 და 468,6 ათასი სული. შემცირდა პირუტყვის სიკვდილიანობა.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რამდენადმე შემცირდა, თუმცა მთლიანად რესპუბლიკაში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების მდგომარეობა შედარებით კარგია, მთელ რიგ რაიონებსა და მეურნეობებში ვითარება რამდენადმე უარესია. 1 აპრილისათვის მეურნეობებში მეტი იყო საკვები, ვიდრე შარშან იმავე თარიღისათვის.

1972 წლის 1 ივლისიდან წლევანდელ 1 აპრილამდე სახელმწიფო რესურსებიდან მიღებულია 323 ათასამდე ტონა კომბინირებული საკვები, მაშინ როცა ასეთივე წინა პერიოდის განმავლობაში მიღებული იყო 251,5 ათასი ტონა. იმიტომ, თუ რაციონალურად გამოიყენებენ არსებულ კვების რესურსებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სრული შესაძლებლობა აქვთ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აწარმოონ გაცილებით მეტი მეცხოველეობის პროდუქტი, ვიდრე 1972 წლის პირველ ნახევარში.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის პირველი კვარტალის გეგმის წარმატებით შესრულების მიუხედავად თიან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, გიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა

განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი, დავაჩქაროთ ბრძოლის ტემპი

(დასასრული)

მოუხედავად იმისა, რომ გადაჭარბებით შესრულდა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, აჭარის ასს რესპუბლიკამ, ფოთმა, რუსთავმა, ზუგდიდმა, ახალციხის, ახმეტის, გარდაბნის, ყვარლის, მესტიის, წულუკიძისა და ცხაკაიის რაიონებმა ვერ უზრუნველყვეს გეგმების შესრულება.

ცალკეულ სახეობათა შემოსავლის მიხედვით გეგმების შეუსრულებლობა და ნარჩენები მოწმობენ, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჯეროვნად არ აფასებენ საგადამხდელო დისციპლინის როლს და სათანადო დახმარებას არ უწევენ საფინანსო ორგანოებს. ზოგიერთი საფინანსო ორგანო ჯერ კიდევ საკმაოდ კვალიფიციურად არ წარმართავს მუშაობას გეგმების უთუო შესრულებისა და ნარჩენების ლიკვიდაციისათვის.

შეუფერხებელი მომარაგება გეგმის შესრულების საწინდარია

ცნობილია, რომ ნედლეულის, მასალების და მაკომპლექტებელი ნაწარმოების ხვედრითი წონა მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებაში აღწევს 60-65 პროცენტს, მშენებლობაში კი ეს ციფრი მეადგენს 40-50 პროცენტს. ამიტომ მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის მწყობრ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მრეწველობისა და მშენებლობის გეგმების შესრულება, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება და ხარისხი და სახალხო მეურნეობის მუშაობის სხვა ძირითადი მაჩვენებლები. სავსებით ბუნებრივია, რომ, როცა სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულების პირველი კვარტალის შედეგებს აჯამებდნენ, სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მომმარაგებელი ორგანიზაციების მუშაობას.

კარგად რომ ვიმუშაოთ, წინასწარი უნდა ეჭვრეტდეთ მოვლენებს. ხოლო რომ ეჭვრეტდეთ, კარგად უნდა გვქონდეს მოგვარებული ინფორმაციის საქმე. ახეთი ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სამრეწველო საწარმოთა ნორმალური და თანმიმდევრული უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

რესპუბლიკის მთავარმომარაგებამ, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მუშაობას კარგი ინფორმაციით უზრუნველყოფისათვის, პრაქტიკაში დანერგა სამრეწველო საწარმოთა მიერ „დეფიციტების“ წარდგენა, ესე იგი ამ ორგანიზაციამ სთხოვა სამინისტროებს, უწყებებსა და დიდ საწარმოებს ყოველი თვის 15 რიცხვამდე წარუდგინონ ხელმე იმ მასალების ნუსხა, რომელთა უქონლობამ შეიძლება ხელი შეუშალოს მომავალი თვის გეგმების შესრულებას. მთავარმომარაგებას, რომელსაც წინასწარ, დაგეგმილი თვის დადგომამდე ორი კვირით ადრე ექნება ეს ცნობები, ბევრი რამის გაკეთების მოასწავებს, რომ უზრუნველყოს საწარმოები სალმიტო მასალებით. ამ ლონისძიებამ უკვე მოიტანა პირველი დადებითი შედეგები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ხშირად გამოთქვამენ საჩივარს ისეთი მასალების ნაკლებობის გამო, როგორიცაა ლითონი, ცემენტი, ხეტყე და სხვ. მაგრამ თუ დავუკვირდებით, საკმაოდ უცნაური სურათი გამოდის. მომდინარე წლის პირველი ნახევრისთვის ყველა ამ სახეობის მასალების მიხედვით ნაშთი გასული წლის პირველ იანვრისან შედარებით კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა, და 1973 წლის დამდეგისათვის საქართველოში ლითონის ზენორმატიული ნაშთი იყო 4,4 ათასი ტონა, ცემენტისა — 17 ათასი ტონა, ხე-ტყისა — 14 ათასი კუბური მეტრი. ამ საკითხებს მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდნონ მინისტრები, უწყებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები.

სხდომაზე მომმარაგებელთა და მასალების მომხმარებელთა ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა უმჯობესი ფინანსური დისციპლინა თითოეულ მეურნეობაში, საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი პროდუქციის ანგარიშების დროზე დაფარვა. მთავარმომარაგება ხშირად იღებს დეპეშებს ხე-ტყის, ცემენტის, სხვა მასალების მიმწოდებლებისაგან. დეპეშებში ნათქვამია, რომ, თუ დროზე არ ანაზღაურებენ გაგზავნილი პროდუქციის ღირებულებას, ასეთ მომხმარებლებს შეუწყვიტენ მასალების მიწოდებას. და ასეთ სანქციებს ხშირად მიმართავენ, რაც ძალიან უშლის ხელს გამოყოფილი ფონდების რეალიზაციის საქმეს.

პირველი კვარტალის ტემპის შენარჩუნებისა და მიმდინარე წლის მომდევნო თვეებში სამძღვარეთა გადიდებისათვის ეროვნარეს ყოველისა საჭიროა გადაიჭრას შრომითი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით საწარმოთა და ორგანიზაციათა უზრუნველყოფის საკითხები. უკვე ახლა უნდა დავაკონონთ საკავშირო მთავრობის წინაშე ის საკითხი, თუ რომელი მასალები არ გვეყოფა, რა საკითხები შეიძლება აღიძრას მომავალში. ყველაფერი ეს ამისათვის არის საჭირო, რომ დღესვე განვახორციელოთ შესაბამისი ღონისძიებანი.

უკვე დღეს უნდა ვიფიქროთ იმ საკითხზე, რომ მასალებით უზრუნველყოფილი ვიყოთ გაისად.

ადამიანებისათვის ზრუნვა უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა

ჯარტიამ და მთავრობამ მოუწოდეს მშრომელებს უფრო დაძაბულად იმუშაონ. რესპუბლიკაში ახლა ბევრი რამ კეთდება ჯანსაღი ვითარების შექმნისათვის, ცხადად ეხედავთ მასების ენთუზიაზმს, მათ მისწრაფებას მიაღწიონ დიდ გარდატეხას, დაამყარონ წესრიგი სზოგადებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ასეთ პირობებში განსაკუთრებით საჭიროა უფრო მეტად ვიზრუნოთ ადამიანებისათვის, ყველა რანგის ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რომ მშრომელებმა ეცხოვრონ. საჭიროა, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, რომ თითოეულმა ადამიანმა იგრძნოს ნამდვილი პარტიული ზრუნვა მისთვის, საზოგადოების თითოეული წევრისათვის.

მოყვანილი იყო ფაქტები, როცა ზოგიერთი ხელმძღვანელი ადამიანისათვის ზრუნვას პირველ პლანზე არ აყენებს, როცა საარსებო მნიშვნელობის საკითხები ნელა, რატომღაც ძნელად წყდება. არ არსებობს წვრილმანი პრობლემები არც წარმოებაში არც საქალაქო მეურნეობაში, არც ვაჭრობაში. თუ ეს პრობლემა უშუალოდ ადამიანის ინტერესებს ეხება, კონკრეტულად უნდა გადაიჭრას და ოპერატიულობა უნდა მოეთხოვოს თვითეულ შემსრულებელს.

ადამიანისათვის ზრუნვის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მხარეა რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა მთლიანად 94,3 პროცენტით. აქედან სოფლად — მხოლოდ 87,2 პროცენტით.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა გაიზარდა 18,7 პროცენტით, სოფლად — 16,2 პროცენტით. ამ მაჩვენებელმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხაზით შესაბამისად შეადგინა 12,1 და 13,6 პროცენტი.

გეგმა ვერ შეასრულეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებმა, თბილისის, რუსთავის, ტყიბულის, ოგრეთვე 34 რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებმა, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, კულტურის, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა, ოგრეთვე „ინტურისტის“ თბილისის განყოფილებამ. რესპუბლიკის ბევრ რაიონში მეტად შეზღუდულია მთელ რიგ სახეობათა მომსახურება.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო და კოოპერირებული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ძირითადი გეგმა შესრულდა 100,2 პროცენტით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 6,4 პროცენტით, აქედან სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით — 7,3 პროცენტით, და სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით — 4,2 პროცენტით.

საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა შესრულდა 96,6 პროცენტით.

რესპუბლიკაში მოსახლეობას მიეყიდა თითქმის 37 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე შარშან.

საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებანია მისი სწორი ორგანიზაციის საქმეში, განსაკუთრებით ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე და საბჭოთა მეურნეობებში. ვერ სრულდება დასაჯდომი ადგილების გადიდების გეგმა. შემოწმებამ დაადგინა, რომ საცალო სავაჭრო ქსელში გასაყიდად არ იყო ბევრი საქონელი, მაშინ როცა საჭირო რაოდენობით იდო საწყობებში.

კარტოფილისა და ბოსტნეულის რეალიზაცია ბევრად გაიზარდა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მეტი კარტოფილი და ბოსტნეული გაიყიდა როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ისე ქალაქ თბილისში. კოოპერატიულ ორგანიზაციები ძალიან ჩამორჩნენ კვარტალური გეგმების შესრულებაში. ცეკავშირის სისტემის 50 კოოპერატიული ორგანიზაციიდან საქონელბრუნვის გეგმა ვერ შეასრულა 28 ორგანიზაციამ, ანუ მათი საერთო რიცხვის 47,4 პროცენტმა.

იმის გამო, რომ მთლიანად ვერ აწვდიან სამრეწველო საქონელს და არის დაძაბულობა სავაჭრო რესურსებში, მოსალოდნელი ზენორმატიული საქონლის მარაგი 1973 წლის 1 აპრილისათვის გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე გასული წლის მარაგი შარშან იმავე თარიღისათვის. შემცირებამ შეადგინა 41 მილიონი მანეთი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას დღემდე არ შეუმუშავებიათ საქონლით უზრუნველყოფის კვარტალური გეგმა და არ გაუცვნიათ იგი რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებისათვის. ამის შედეგად იქმნება დაბრკოლებანი გამოყოფილი საბაზრო ფონდების რიტმული ათვისებისა და საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულების საქმეში.

დაკვეთა მართვის მეცნიერებას

ეროვნული შრომითი კოლექტივების ინიციატივის ფართო გავრცელების შესახებ პარტიისა და მთავრობის შესაბამის გადაწყვეტილებათა შემდეგ, რომლებმაც მოგვიწოდეს სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განსამტკიცებლად გადამწყვეტი ბრძოლისათვის, რესპუბლიკაში ისახება ფარავეული ძვრები. ამ მუშაობის პირდაპირი შედეგია საქართველოს სახალხო მეურნეობის მუშაობის ეკონომიურ მაჩვენებელთა ზრდა. მაგრამ ამ საქმეშიც ჯერ კიდევ არ არის მიღწეული მოსალოდნელი წარმატება, — თუნდაც იმიტომ, რომ ბრძოლა მალალი დისციპლინისათვის ყველგან როდი წარმოებს, მასში ჯერჯერობით ჩაბმული არ არის მეურნეობის ყველა რგოლი, თითოეული მშრომელი.

გარდა ამისა, აღინიშნა თათბირზე, დისციპლინის განმტკიცება დიდმნიშვნელოვანი, მაგრამ ერთადერთი რეზერვი როდია, რომლის გამოყენებას შეეძლოს ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების უკუგების მოცემა. ამასთან ეს რეზერვი თითქოსდა ზედაპირზეა. იგი უნდა გამოვიყენოთ უფრო ინტენსიურად და მარჯვედ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ჩვენს წინაშე დასახული გაზრდილი სიმძლავრისა და მნიშვნელობის ამოცანების გადასაწყვეტად.

რა რეზერვები გვაქვს და როგორ უნდა გამოვავლინოთ ისინი? ძირითადი რეზერვი ის არის, რომ სერიოზულად, სახელმწიფოებრივად გადავწყვიტოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემები. როგორიც უნდა იყოს მშენებლობის ტემპი, ფილ გარდატეხას ვერ მივაღწევთ, თუ უშუალოდ არ მოვკიდეთ ხელი ამ პრობლემებს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ამ მხრივ დარგი, რომელიც ცუდად არის გამოყენებული რესპუბლიკაში.

ამ პრობლემების გადასაწყვეტად მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ბევრ საწარმოში სერიოზულად არ მუშაობენ. ზემდგომ ორგანოები ოპერატიულად არ მოდის სარწმუნო ინფორმაცია საწარმოებიდან, მშენებლობებიდან, იმის შესახებ, თუ სად როგორ არის საქმე, რა შესაძლებლობანია შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის და სხვ. თვის განმავლობაში, კვარტალის განმავლობაში ზუსტი ცნობები არ მოდის მოწყობილობის მწარმოებლობის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა მოცდენებია საწარმოებში, როგორია იქ შრომისა და საწარმოო დისციპლინა. სამინისტროებისა და უწყებების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები ძალიან ცუდად იცნობენ იმას, თუ როგორ იხარჯება ნედლეული, მასალები, არ იღებენ ოპერატიულ ცნობებს — თვითღირებულებისა და სხვა მაჩვენებლების ცნობებს, ხოლო როცა სტატისტიკური ცნობებს მიიღებენ ხოლმე, აღმოჩნდებიან ფაქტის წინაშე, როცა მდგომარეობის გამოსწორება უკვე შეუძლებელია. ამიტომ საქმის მდგომარეობის ნამდვილი, მეცხიერული შესწავლა ადგილებზე მთავარი და ძირითადია. ამაზე არა მარტო უნდა ვილაპარაკოთ, არამედ უმჯობესად უნდა მოვკიდოთ კიდეც ხელი ამ საკითხის გადაწყვეტას.

თუ ეკითხავთ მინისტრებს. როგორ წყდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხები მათი სამინისტროების სისტემაში, მათ, იქნებ, მოიყვანონ კიდეც ამის შესახებ რაღაც მონაცემები, მაგრამ სამინისტროს მთელი აპარატი რა თქმა უნდა, საქმის კურსში არ არის, როგორც ჩანს, აღინიშნა სხდომაზე, საჭიროა შეიქმნათ შესაბამისი ქვეგანყოფილებანი სამინისტროებში, რომელთა თანამშრომლები პასუხისმგებელნი იქნებიან საწარმოთა საქმიანობის ეკონომიური მხარეების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის შეგროვებისათვის, სისტემატიზაციისა და ანალიზისათვის. თუ არ გვექნება სპეციალური ქვეგანყოფილებანი, არ გვეყოლება ადამიანები, რომლებიც პასუხს აგებენ ამ პრობლემებისათვის, ვერ გამოიტანთ დიდ, ქმედითსა და ღრმა დასკვნებს საწარმოებისა და დარგების საქმიანობიდან. ახლა ბევრი რამ მხედველობიდან გვრჩება. ეს, მაგალითად, შეეხება მოწყობილობის მწარმოებლობას: რესპუბლიკის მრეწველობის მთავარი, წამყვანი დარგების მიხედვით, ჩვენ 20-30 პროცენტით უფრო ნაკლები მაჩვენებლები გვაქვს საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით. ამაში რომ დავიწყმუნდეთ, საკმარისია გავეცნოთ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, რუსთავის ქიმიური კომბინატის, მანქანათმაშენებელი საწარმოების, საფეიქრო მრეწველობის მონაცემებსა და სხვ.

რესპუბლიკაში ძალიან ცუდად დგას ეკონომიური სამსახურის საქმე. ახლა სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შემუშავების პროცესში გამოიკვეთა, რომ ეკონომიური სამსახურები ბევრ სამინისტროში არ არის, არიან ეკონომისტ-პრაქტიკოსები, რომლებიც ვერ ჭვრეტენ პერსპექტივას, ვერ გაუწევიათ დარგის განვითარების ყველა მიმართულება, ვერ დაუმუშავებიათ სამეწინისტროთა წინაშე მდგომი პრობლემები. მრეწველობაში, მთლიანად სახალხო მეურნეობაში, დიდი გარდატეხის მოსდენისათვის საჭიროა უფრო უშუალოდ მოვკიდოთ ხელი მეცნიერების პრობლემების გადაწყვეტას. უკვე დადგა დრო, როცა უფრო გბედულა უნდა ჩავაბათ საქმიანობაში ის მეცნიერები, რომლებმაც განვლეს პრაქტიკული სკოლა, მუშაობენ სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში. ამ დაწესებულებებში ბევრი გონიერი, ნიჭიერი ადამიანია, რომელთა დაფრნიურება თამამად შეიძლება ხელმძღვანელ თანამდებობებზე სახალხო მეურნეობის მართვის აპარატებში. ასეთი სპეციალისტები გვჭირდება გადამწყვეტ უბნებზე. ისინი ძალიან საჭირო არიან სამინისტროებში, საწარმოებში, ყველგან სადაც წყდება პროდუქციის გამოშვების ბედი.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების, მეცნიეერული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტთა კადრების მოზიდვის საკითხთა წარმატებით მოწესრიგებას, უეჭველია დადებით გავლენას მოახდენს გამოშვებული პროდუქციის განხილვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, შრომის ენერგოფარეტიკულობის ამაღლების, ალრიცხვისა და ანალიზური მუშაობის სისტემის ორგანიზაციისა და ბევრ სხვა პრობლემებზეც. სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ მხრივ თავის როლი უნდა შეასრულონ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სამეცნიერო ცენტრებმა.

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიუხედავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომელშიც გამოოქვამენ რწმენას, რომ რესპუბლიკის მშრომელები განამტკიცებენ მოპოვებულ წარმატებებს, ყოველ ღონეს იხმარენ ამისათვის, რომ მიაღწიონ ახალ მიჯნებს, მკაცრი საფუძველი ჩაუყარონ წლიური გეგმისა და 1973 წლისათვის — ხუთწლედის გადამწყვეტი წლისათვის ნაკეთი სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულებას.

(საქინფორმი).

პ. ნ. კოსიგინი ესაუბრა სირიის დელეგაციის მინისტრს

19 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო სირიის დელეგაციის მინისტრი მუსტაფა ჰალაჯი,

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ა. ნ. კოსიგინმა და მუსტაფა ჰალაჯმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე, მათ შორის საბჭოთა კავშირ-სირიის ეკონომიური თანამშრომლობის მთელ რიგ საკითხებზე.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ გარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. სკაჩკოვი, აგრეთვე სირიის ელჩი საბჭოთა კავშირში უამილ შაიაბი. (საკდესი).

საქართველოს დედაქალაქის ვაჭრობის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

19 აპრილს გაიმართა ქალაქ თბილისის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ს. ჯანელიძემ.

მოხსენება — თბილისის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ხაჭართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად — გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. გილაშვილმა.

კრებაზე გამოვიდნენ № 48 მაღაზიის დირექტორი, 26 კომისრის სახელობის რაიონის „თბილმრეწველვაჭრობის“ ჭესელის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ჩარუა, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პარტკომის მდივანი ლ. ნარიმანიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე გ. ყაჭეიშვილი, პარტიის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. ალავიძე, „თბილტექსტილვაჭრობის“ № 1 მაღაზიის უფროსი გამყიდველი თ. ლუდუშაური, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი ზ. გილაური, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს ორგანიზაციული განყოფილების გამგე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. კოშკაძე, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ვ. თოსაძე, „თბილისელბოსტანვაჭრობის“ პირველი მაისის რაიონის განყოფილების გამგე ვ. ბანძელაძე, კიევ „ციხარის“ ოფიციანტი ა. ხლენინოვა, სასადილოების პირველი ტრესტის დირექტორი ნ. რუხაძე, 26 კომისრის სახელობის რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. კობახიძე, საქართველოს სამეურნეო ვაჭრობის რესპუბლიკური ბაზის მმართველი ი. ტიკაძე.

თბილისის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს ვაჭრობის ყველა მუშაკისადმი. (საქინფორმი).

აღმიანებს ვასწავლოთ გმირობა

მწერალთა სრულიად საკავშირო თათბირი ბათუმში

ბათუმი, 19 აპრილი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ. ზ. რგხილაძე). დღეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიხსნა მეორე სრულიად საკავშირო თათბირი სამხედრო პატრიოტული თემისადმი მიძღვნილი მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე.

დილის 10 საათია. დარბაზში შეიკრიბენ ბათუმის სასაზღვრო რაზმის წარმომადგენლები, მწერლები, კრიტიკოსები, პარტიული, საბჭოთა კომკავშირული მუშაკები, ქალაქის ინტელიგენცია.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადგილი, ნიანავაც იწყება ჩვენი ქვეყნის სიმშვიდე, წარმოადგენს ასპარეზს, სადაც მესაზღვრეებმა მთელი თავიანთი სამსახურის მანძილზე არ იციან დასვენება, ისინი ყოველ წუთს მზად ყოფნაში არიან და თვითონ ეს გარემობა ბადებს უკვე იმ რომანტიკას, რომელიც ჩვენი მწერლებისათვის წარმოადგენს საზღვის შემოქმედებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველმა ამგვარმა თათბირმა ბრესტში მოგვცა კეთილი შედეგები, მესაზღვრეთა თემის მწერალთა რიცხვი გაიზარდა და შეიქმნა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. თათბირის მონაწილეთა მეჭიდრო კონტაქტები მესაზღვრეებთან კიდევ უფრო კეთილ შედეგებს მოგვეგემს, და ჯიმედონენ, რომ შეიქმნება კიდევ უფრო სრულყოფილი ნაწარმოებები.

ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარების პოლიტმუშაობისა და ეროვნარეს ოლქის უფროსი გენერალ-მაიორი ვ. ლეონიბეკოვი. იგი ამბობს რომ დღევანდელი ჩვენი თათბირის ფეფეზად შეიძლება გამოდგეს ვ. მაიაკოვსკის „ოდა“ სიტყვები: „მინდა, რომ ჯალამი ხიშტს გაუტოლდეს!“ დღის უფლება გვაქვს სიამაყით აღვნიშნოთ, რომ ხიშტს გატოლებული ჯალამი ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის ჭეშმარიტად მშვენიერ სიმბოლოდ იქცა.

საბედნიეროდ წარსულს ჩაბარდა ოდესღაც არსებული წარმოდგენა, რომ სამხედრო მხატვრული ლიტერატურა „მეორე ეშელონის“ ლიტერატურაა და მას მკითხველთა არც თუ ისე ფართე წრე ჰყავს. თვითონ ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ სამხედრო პატრიოტული ლიტერატურა განუყოფელია მთელი საბჭოთა ლიტერატურისაგან.

ბუნებრივია, რომ სამხედრო მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებს უპირველეს ყოვლისა მოუთმენლად მოელიან თითონ მესაზღვრეები, მაგრამ ლებიც შეიქმნა ომის შემდგომ პერიოდიდან დაწყებული დღემდე.

საბჭოთა ,ხალხვარი, ეს ხელშეუხებელი ადგილი, სადანაც იწყება ჩვენი ქვეყნის სიმშვიდე, წარმოადგენს ასპარეზს, სადაც მესაზღვრეებმა მთელი თავიანთი სამსახურის მანძილზე არ იციან დასვენება, ისინი ყოველ წუთს მზად ყოფნაში არიან და თვითონ ეს გარემობა ბადებს უკვე იმ რომანტიკას, რომელიც ჩვენი მწერლებისათვის წარმოადგენს საზღვის შემოქმედებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველმა ამგვარმა თათბირმა ბრესტში მოგვცა კეთილი შედეგები, მესაზღვრეთა თემის მწერალთა რიცხვი გაიზარდა და შეიქმნა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. თათბირის მონაწილეთა მჭიდრო კონტაქტები მესაზღვრეებთან კიდევ უფრო კეთილ შედეგებს მოგვეგემს, და ჯიმედონენ, რომ შეიქმნება კიდევ უფრო სრულყოფილი ნაწარმოებები.

ტრიბუნაზეა ომის ,ბოლო წლების გმირ-ოფიცერი, ,ბოლო წლებში ნახა მაყურებელმა და თაობირის მონაწილეების აუწყა, თუ სასაზღვრო თემასთან დაკავშირებულ რომელ ფილმზე მუშაობენ ჩვენი ქვეყნის კინოსტუდიები.

საესებით ბუნებრივია, ამბობს ორატორი, რომ იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე სამხედრო ხაქმეს მიუძღვნეს, საზღვრის თემა ერთ-ერთი უმთავრესია. ეს მე თვით ჩემი გამოცდილებიდან ვიცი. მე ვიბრძოდი პირველი ცხენოსანი არმიის რიგებში, და ეს მოგონებები და განწყობილება სამუდამოდ დარჩება ჩემში. შემდეგ კინოდრამატურგი ასახელებს იმ ფილმებს, რომლებიც შეიქმნა სხვადასხვა კინოსტუდიაში და ეძღვნება სასაზღვრო თემას. მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ ამ მხრივ კინომ ბოლო ხანებში მაინცდამაინც ბევრით ვერაფრით გაგვახარა.

ტრიბუნაზეა პოეტი ვ. დოლმატოვსკი. იგი აღნიშნავს რომ საზღვარი თვით პოეზიაა და ეს მოვლენა დამატებით სიძნელეებს უქმნის პოეტს, რომ გააპოეტური პოეტური მოვლენა, ამისათვის იტყობა უფრო დიდი ნიჭი და მეტი მოფიქრებაა საჭირო, ვიდრე ეს ეკრძნება ჩვენს პოეზიაში. მან აღნიშნა რომ ბრესტის თათბირის შემდეგ დღეანდელ პოეზიაში არ შექმნილა ისეთი ნაწარმოები, რომელიც იდეურობითა და მხატვრული დონით მთლიანად უპასუხებდეს დღეანდელობას, რომ პოეტები დღეს მესაზღვრეების წინაშე ვალში არიან.

ლენინგრადელმა მწერალმა ვ. ინფანტიემ ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარების წარმომადგენელს ხაჩუქრად გადასცა ლენინგრადელ ავტორთა მიერ შექმნილი წიგნი-ალმანახი და უსურვა რთულ და პასუხსაგებ საქმეში მიღწევები.

შემდეგ სასაზღვრო თემის პრობლემების შესახებ ილაპარაკა. ბელორუსმა მწერალმა ვ. რუდოვმა.

თათბირი მუშაობას განაგრძობს.

ეროვნული ფერადოვნებანი

ეროვნული ფერადოვნებანი

ეროვნული ფერადოვნებანი

მსოფლიო დღეს

გ. კიუნი: „ჩვენ ვეუბნებით საბჭოთა სტუმარს — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“

ბონი, 19 აპრილი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრივობა, პოლიტიკური წრეები, დასავლეთ გერმანიის პრესა შეუნელებელი ინტერესით მოელის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს ბონში და მის მოლაპარაკებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ვ. ბრანდტთან. სულ სხვადასხვა წრეებში გამოთქვამენ იმედს, რომ ეს მოლაპარაკება დასაბამს ახალ ეტაპს როგორც სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივი კონტაქტების განმტკიცებაში, ისე ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემათა მოწესრიგებაში მრავალმხრივ საფუძველზე.

ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის პრემიერ-ministრმა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. კიუნმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ საპატიო საბჭოთა სტუმარს გულთბილ შეხვედრას მოუწყობენ. „ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა, — თქვა გ. კიუნმა, — მოესალმა ხელშეკრულებებს, რომლებიც ჩვენ დავდეთ საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან, და მან იცის, რომ მოსკოვის ხელშეკრულება ძალაში შევიდა უწინარეს ყოვლისა იმ შეთანხმების მეოხებით, რომელიც მიღწეულ იქნა ლეონიდ ბრეჟნევისა და ვილი ბრანდტის ყირიმში შეხვედრის დროს, და ნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს მეოხებით, რომელშიც ეს შეხვედრა მიმდინარეობდა. ბუნდესტაგის 1972 წლის შემოდგომის არჩევნებმა, როცა ჩვენმა პარტიამ და ჩვენმა პარტნიორმა კოალიციამ თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს, დაადასტურა, რომ ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა მხარს უჭერს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის მოწესრიგების პოლიტიკას“.

ასეთი პოლიტიკა გ. კიუნის აზრით, თანამიმდევრულად განხორციელდება მომავალშიც. ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტი ბონში, ხაზი გაუსვა გ. კიუნმა, საშუალებას მოგვცემს განვაგრძოთ დიალოგი სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის არა მარტო საერთო-პოლიტიკური, არამედ აგრეთვე ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების პრობლემებზე.

„ჩვენ მოველით, — დასძინა გ. კიუნმა, — რომ ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან, უნგრეთთან და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. ჩვენ ვეუბნებით საბჭოთა სტუმარს — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

კინემატოგრაფისტები ალმა-ატაში ირკვევიან

VI საკავშირო კინოფესტივალის წინ

VI საკავშირო კინოფესტივალი ალმა-ატა 1973

● დღეს, 20 აპრილს, ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ატაში გაიხსნება მე-6 საკავშირო კინოფესტივალი. ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა ვ. მარდალეიშვილმა ინტერვიუ სთხოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს შალვა სალარიძეს.

— ალმა-ატას ესტაფეტა ჩვენმა დედაქალაქმა გადასცა, — თქვა შ. სალარიძემ, — მოგეხსენებთ, რომ წინა საკავშირო კინოფესტივალი ჩატარდა თბილისში, სადაც რეჟისორების შოთა და ნოდარ მანაგაძეების მხატვრულმა ფილმმა „წუთისოფელმა“ ფესტივალის მთავარი პრიზი დაიმსახურა. აქვე აღვნიშნავ, რომ ალმა-ატის კინოფესტივალზე რესპუბლიკის სახალხო არტისტი რეჟისორი შოთა მანაგაძე მიწვეულია მხატვრული ფილმების ჟიურის შემადგენლობაში, ჟიურის თავმჯდომარე კი სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. სანაია გახლავთ.

ქართველ კინემატოგრაფისტებს საკავშირო და საერთაშორისო კინოფესტივალებში მონაწილეობის კარგი ტრადიცია აქვთ. ალმა-ატაში სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმებიდან ჩვენ გავიზავნეთ „ნირგბეი“ და „რომა ჟუვაშვა ნუში“. პირველი მათგანი, რომლის სცენარის ავტორია ხ. ელენტი, ხოლო დამდგმელი რეჟისორი რ. ჩხეიძე, მოგვითხრობს ქართველი კაცის, უბრალო საბჭოთა ადამიანის სულიერ სილამაზეზე. ფილმი წარმოდგენს ხალხის უკვდავების იდეისა და ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ჰუმანურ მისწრაფებათა მხატვრული განზოგადების ცდას.

„როცა აყვავდა ნუშის“ სცენარის ავტორები არიან ზ. არსენიშვილი და ლ. ელოდოვრიძე, დამდგმელი რეჟისორია ლ. ელოდოვრიძე. ფილმი ასახავს თანამედროვეს ახალგაზრდა ადამიანის რთულსა და წინააღმდეგობრივ სულიერ სამყაროს, მისი მორალური სახის ჩამოყალიბებას. ეს სურათი ალმა-ატის კინოფესტივალზე მონაწილეობას მიიღებს საბავშვო და ახალგაზრდული ფილმების კონკურსში.

ჩვენი მულტფილმების სტუდია ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ფილმით „ცნობისმოყვარე“, რომლის სცენარის ავტორი გახლავთ კინორეჟისორი მ. კობახიძე, დამდგმელი რეჟისორები კი — [illegible] და გ. კასრაძეები. ადამიანის ნაკლოვანება უნდა იყოს მუდმივი ძიება, — ასეთია ამ ფილმის მთავარი აზრი.

დოკუმენტური ფილმებიდან ერთ-ერთსში, რომლის ჟიურის სსრ საკავშირის სახალხო არტისტი კინორეჟისორი ა. ზაურიდი მეთაურობს, მონაწილეობას მიიღებს სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფირადი ფილმი „ერთიან ძმურ ოჯახში“. საინტერესოა, რომ საბჭოთა კავშირში ეს არის პირველი ფილმი, რომელიც სამი რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა ურთიერთთანამშრომლობით შეიქმნა. მართლაც, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კინომუშაკებმა ამ ფილმში კარგად დაგვიხატეს ამიერკავკასიის ხალხთა მდგომარეობა წარსულში და მათ მიერ მიღწეული შრომითი წარმატებები სოციალისტურ მშენებლობაში. „ერთიან, ძმურ ოჯახში“ საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

ფილმის შექმნაში მონაწილეობა მიიღო სცენარისტთა და რეჟისორთა დიდმა ჯგუფმა, რომელთაც მხატვრულ ხელმძღვანელობას სსრ კავშირის სახალხო არტისტი კინოდოკუმენტალისტი გ. ასათიანი უწევდა.

საკონკურსოა აგრეთვე მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ზინგალი“, ქრონიკულ-დოკუმენტური ფილმი „პირველი ზარი“ და [illegible] ფილმი „ბებერ[illegible]“, „ეკვალის“ სცენარი კ. არაბუმამ დაწერა, რეჟისორია [illegible] ნაწილებია [illegible] [illegible] [illegible]